ხელშეკრულება #I-1/45

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **19 მაისი 2022წ.**

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმისა და იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (შემდგომში - „შემსყიდველი“)წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ჭიპაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,გორგია'' (შედგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ქეთევან ლომაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბიუჯეტო სახსრებიდან, გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმისთვის CPV 44500000-ხელსაწყოები, საკეტები გასაღებები, ანჯამები,დამჭრები, ჯაჭვები და ზამბარები/რესორების -1525.65 ლარი; CPV 18100000 სამუშაო ხელთათმანების-195.00ლარი შეძენა (საფუძველი : სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მებაღეების მეთვალყურის ზურაბ ჩალათაშვილის 2022 წლის 5 მაისის #1422 მოხსენებითი ბარათი).

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ტერიტორიის სანიტარული ჭრისა და დასუფთავების სამუშაოების შეუფერხებლად გაგრძელებისთვის შემდეგი საქონლის შეძენა:

#	საქონლის დასახელება	CPV	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	სულ თანხა (დღგ-ს ჩათვლით)
1	MR-010 სათიბის ძუის სამაგრი	44523200	ცალი	3	12.30	36.90
2	M2M 300/110 S11 ხელთათმანი ნაცრისფერი, ხაოიანი ლურჯი ლატექს ნაწილი	18141000	წყვილი	100	1.95	195.00
3	ხერხის პირი ხისთვის (TSB125423)	44514200	ცალი	5	43.70	218.50
4	TOL 921-76450 ხის საჭრელი მეტალის დისკი 235 MM	44500000	ცალი	15	35.95	539.25
5	ტოტმჭრელი	44511000	ცალი	3	121.00	363.00
6	საკრეჭი მაკრატელი 29'' (HLT7401)	44511000	ცალი	2	46.00	92.00
7	საკრეჭი მაკრატელი 29''(HLT7401)	44511000	ცალი	6	46.00	276.00
სულ ჯამი						1720.65

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 1720.65 (ერთი ათას შვიდასოცი ლარი და 65 თეთრი)ერთი ათას ასოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადა: 2022 წლის 27 მაისის ჩათვლით.

მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ხოშარაულისა და ელიავას ქ შორის მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის ნაკვეთი მაღაზია #26.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემოწმებით თუ მოწოდებული საქონელი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული შტამპის ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

4.2. საქონელი ჩაითვლება სრულად შესყიდულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. საქონლის შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადების და ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის შესახებ.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. გადაიხადოს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

6.2.2. მოწოდებული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. მოაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

6.4.2. მოწოდებული საქონლის ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;

6.4.3. წინასწარ აცნობოს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

6.4.4. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს უხარისხო ან საქონლის მოწოდების გამო.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს საქონლის მოწოდების ვალდებულებისაგან.

7.4. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 3%-ს შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს შესაბამისი წესის შესაბამისად.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხეროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მებაღეების მეთვალყურე ზურაბ ჩალათაშვილი.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. არავითარი გადახდა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

12.3. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მოწოდებული საქონლის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

14. დასკვნითი დებულებანი

14.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მხარეების მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.4. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“	შპს ,,გორგია''
საიდ. კოდი: 204468664	მის: ქ. თბილისი წერეთლის #140.
მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #3	ტელ: 591 50 24 65
ტელ: 298 21 35	საიდენტ: 245621288
სახელმწიფო ხაზინა	სს ,, თიბისი ბანკი “
კოდი: TRESGE22	კოდი TBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE62TB 1007536020100008
ნინო ჭიპაშვილი დირექტორი	ქეთევან ლომაძე დირექტორის მინდობილი პირი